საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №3-1

ქ. ბათუმი, 17 ოქტომბერი, 2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ჯემალ ანანიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

ნათია სურგულაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

გიორგი რამიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორი;

ირაკლი სურმანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

ლამზირა ბოლქვაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსი;

ნაზი ფუტკარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ვახტანგ ღლონტი - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი განათლების, კულტურისა და შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის საკითხებში.

გოდერძი ტოტოჩავა - საკონკურსო კომისიის წევრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი;

დუგლას ზამთარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, არქიტექტორი;

მაია ჭიჭილეიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ხელოვნებათმცოდნე;

ზვიად ბურჭულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, არქიტექტორი, ქ. ბათუმის მერთან არსებულ სათათბირო ორგანო-არქიტექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;

სხდომას არ ესწრებოდნენ: ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი-მხატვარი.

ნინო ინაიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ისტორიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბათუმი".

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, მ. კოსტავას ქ. №1-ში მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განსათავსებელი საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა - ლამზირა ბოლქვაძემ საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი, საკონკურსო პირობები და თანდართული დოკუმენტები.
საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები, რომელიც შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა: 1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, მ. კოსტავას ქ. №1-ში მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განსათავსებელი საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება;

2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 17 ოქტომბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ჯემალ ანანიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ნათია სურგულაძე

საკონკურსო კომისიის წევრები: გიორგი რამიშვილი

ირაკლი სურმანიძე

ლამზირა ბოლქვაძე

ნაზი ფუტკარაძე

ვახტანგ ღლონტი

გოდერძი ტოტოჩავა

დუგლას ზამთარაძე

მაია ჭიჭილეიშვილი

ზვიად ბურჭულაძე